# ხელშეკრულება № 3

## სახელმწიფო შესყიდვის შესახებ (მომსახურების შესყიდვა)

ქ. გორი

06 იანვარი 2016 წელი

ჩვენ, ქვემოთ ხელის მომწერნი, ერთის მხრივ, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი – გორის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობის კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრი (შემდგომში – შემსყიდველი) **მისი დირექტორი გულნარა ბზიშვილის სახით (საიდენტიფიკაციო კოდი 417883044)** და მეორეს მხრივ ს.ს.ი.პ გორის გ. ერისთავის სახელობის პროფ.სახელმწიფო დრამატული თეატრის დირექტორი ნიკო კვირიკაშვილის სახით **(საიდენტიფიკაციო კოდი: 217881424)**, (შემდგომში მომსახურების მიმწოდებელი) ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

### 1. ხელშეკრულების საგანი

1.1 წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, ხელშეკრულების საგანია: 2016 წლის 8 იანვრის ღონისძიებისთვის (ფასით: 500.00 ლარი) და ასევე 13 იანვრის ღონისძიებისთვის (ფასით 500.00 ლარი), თეატრის დარბაზის ქირავნობა.

### 2. შესყიდვების ობიექტი

2.1 შესყიდვის (მომსახურების) ობიექტია: დარბაზის ქირავნობა (CPV-70200000)

### 3. ხელშეკრულების საერთო ღირებულება

3.1 შესყიდვის (მომსახურების) ობიექტის ფასი განისაზღვრება ლარებში

3.2 შესყიდვის (მომსახურების) ობიექტის საერთო ღირებულება შეადგენს – **1000.00 ლარს (ათასი ლარი და 00 თეთრი)**

### 4. შესყიდვის ობიექტის ხარისხი და გარანტია

4.1 მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ შესყიდვის ობიექტის ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულების პირობებს და დააკმაყოფილებს შემსყიდველის მიერ განსაზღვრულ მოთხოვნებს

### 5. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები, ადგილი და პირობები

5.1 შესყიდვის (მომსახურების) ობიექტის მიწოდების ვადა განისაზღვრება მოთხოვნის გაკეთებიდან 10 კალენდარული დღის განმავლობაში.

5.2 შესყიდვის (მომსახურების) ობიექტის მიწოდების პარალელურად, „მიმწოდებელი" ვალდებულია უზრუნველყოს თანმხლები დოკუმენტაციის წარდგენა შემსყიდველისათვის (საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა ან სასაქონლო ზედნადები)

### 6. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

6.1 შესყიდვის (მომსახურების) ობიექტის მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით, რომელიც დადასტურდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის მიერ საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერებით.

### 7. ანგარიშსწორების ფორმა, გრაფიკი (ვადები) და ადგილი

7.1 „მიმწოდებელთან" ანგარიშსწორება განხორციელდება ლარებში

7.2 შესყიდვის (მომსახურების) ობიექტის ღირებულების ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით თანხის მომწოდებლის საბანკო რეკვიზიტებზე გადარიცხვით.

7.3 ანგარიშსწორება „შემსყიდველის" მიერ მოხდება შესყიდვის ობიექტის მიწოდებისა და წინამდებარე ხელშეკრულების 5.2. მუხლში მითითებული დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდეგ არა უმეტეს 30 (ოცდაათი) საბანკო დღის ვადაში.

### 8. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

8.1 „შემსყიდველს" უფლება აქვს – შეამოწმოს შესყიდვის ობიექტის ხარისხის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან.

8.2 „შემსყიდველი" ვალდებულია: მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

- უზრუნველყოს შესყიდვის ობიექტის მიღება

8.3 მიმწოდებელს უფლება აქვს - მოსთხოვოს შემსყიდველს შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

8.4 მიმწოდებელი ვალდებულია: მიაწოდოს შემსყიდველს შესყიდვის ობიექტი მოთხოვნის გაკეთებიდან არა უგვიანეს 10 დღისა.

- დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

## 9. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისათვის

9.1 მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

9.2 თუ ხელშეკრულების რომელიმე მხარე დაარღვევს წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებას, მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარეს შეუძლია დამატებით განსაზღვრული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ (დამატებითი ვადის განსაზღვრისათვის გამოიყენება წერილობითი ფორმა) თუ ვალდებულების ხასიათიდან გამომდინარე შეუძლებელია გამოყენებულ იქნას დამატებითი ვადა, მაშინ დამატებითი ვადის განსაზღვრას უთანაბრდება გაფრთხილება.

9.3 ხელშეკრულებიდან გასვლისას მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით.

9.4 ხელშეკრულებიდან გასვლასთან და ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით შესაბამისად გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსით დადგენილი წესები.

## 10. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

10.1 ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება მისი ხელის მოწერის დღიდან 40 (ორმოცი) კალენდარული დღის ვადით.

## *11. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა*

წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია. თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების პირობების მათ შორის ფასის შეცვლა თუ ამ ცვლილებების შედეგად იცვლება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

## *12. ფორს-მაჟორი*

12.1 მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალოდ ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე.

12.2 თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გაგრძელდა სამ თვეზე მეტხანს მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება კომპენსაციის უფლების მოთხოვნის გარეშე.

12.3 მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება დაუყოვნებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

## *13. დავები და მათი გადაწყვეტის წესი*

13.1 ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე

13.2 შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

## *14. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები*

14.1 შემსყიდველი უფლებამოსილია შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად განახორციელოს შემოწმება, რომლის მიზანია შესყიდვის ობიექტის შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.

14.2 ხელშეკრულების ინსპექტირებას შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს შემსყიდველი ორგანიზაციის დირექტორი.(გულნარა მზიშვილი )

14.3 შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ შემსყიდველი დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს მიმწოდებელს წუნდების მიზეზების მითითებით.

14.4 გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

## 15. სხვა პირობები

15.1 მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

15.2 არცერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

15.3 მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

15.4 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

15.5 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

## 16. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

შემსყიდველი:

ა(ა)იპ – გორის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობის კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრი ს/კ 417883044

მის: ქ.გორი მშვიდობის გამზ. 12/ა

საბანკო რეკვ: სს "ლიბერთი ბანკი"

ბანკის კოდი: LBRTG22

ა.ა. GE02LB0115171175191000

შემსყიდველი: გ. ბზიშვილი

მიმწოდებელი:

ს.ს.ი.პ გორის გ.ერისთავის სახელობის პროფ.სახელმწიფო დრამატული თეატრი, ს/კ 217881424

მის: ქ.გორი გორი ჭავჭავაძის ქ N 24

საბანკო რეკვ: ს.ს. „სახელმწიფო ხაზინა"

ა.ნ 708307019

მიმწოდებელი: ნ. კვირიკაშვილი

# მიღება-ჩაბარების აქტი

## ( მომსახურების შესყიდვის შესახებ)

13 იანვარი 2016 წელი

ქ. გორი

ჩვენ ქვემოთ ხელისმომწერნი, ერთის მხრივ გორის მუნიციპალიტეტის მოსწავლე ახალგაზრდობის კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრის მისი **დირექტორი გულნარა ბზიშეილის სახით** (ს/კ 417883044) „შემსყიდველად“ წოდებული და მეორეს მხრივ ს.ს.ი.პ გორის გ. ერისთავის სახელობის პროფ.სახელმწიფო დრამატული თეატრის **დირექტორი ნიკო კვირიკაშვილის** სახით **(საიდენტიფიკაციო კოდი: 217881424)** „გამყიდველად“ წოდებული, ვადასტურებთ, რომ **2016 წლის 6 იანვრის ხელშეკრულების** (სახელმწიფო შესყიდვის, მომსახურეობის შესყიდვის შესახებ) თანახმად „გამყიდველმა“ გაუწია მომსახურება, კერძოდ დარბაზის ქირავნობა, ფასით 500.00 (ხუთასი ლარი და 00 თეთრი) ლარი და მხარეებს ერთმანეთის მიმართ პრეტენზია არ გააჩნიათ.

ეს მიღება-ჩაბარების აქტი შედგენილია ორ ეგზემპლიარად რომელთაგან ერთი გადაეცემა ჩამბარებელს.

შემსყიდველი:

ა(ა)იპ – გორის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობის კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრი
ს/კ 417883044

მის: ქ.გორი მშვიდობის გამზ. 12/ა

საბანკო რეკვ.: ს.ს. „ლიბერთი ბანკი“

ბანკის კოდი: LBRTG22

ა.ა. GE02LB0115171175191000

შემსყიდველი: გ. ბზიშვილი

მიმწოდებელი:

ს.ს.ი.პ გორის გ.ერისთავის სახელობის პროფ.სახელმწიფო დრამატული თეატრი; ს/კ 217881424

მის: ქ.გორი გორი ჭავჭავაძის ქ. N 24

საბანკო რეკვ.: ს.ს. „სახელმწიფო ხაზინა“

ა.ნ 708307019

მომწოდებელი: ნ. კვირიკაშვილი

მიღება-ჩაბარების აქტი

( მომსახურების შესყიდვის შესახებ)

ქ. გორი 08 იანვარი 2016 წელი

ჩვენ ქვემოთ ხელისმომწერნი, ერთის მხრივ გორის მუნიციპალიტეტის მოსწავლე ახალგაზრდობის კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრის მისი **დირექტორი გულნარა ბზიშვილის სახით** (ს/კ 417883044) „შემსყიდველად“ წოდებული და მეორეს მხრივ ს.ს.ი.პ გორის გ. ერისთავის სახელობის პროფ.სახელმწიფო დრამატული თეატრის დირექტორი ნიკო კვირიკაშვილის სახით **(საიდენტიფიკაციო კოდი: 217881424)** „გამყიდველად“ წოდებული, ვადასტურებთ, რომ **2016 წლის 6 იანვრის ხელშეკრულების** (სახელმწიფო შესყიდვის, მომსახურეობის შესყიდვის შესახებ) თანახმად „გამყიდველმა“ გაუწია მომსახურება, კერძოდ დარბაზის ქირავნობა, ფასით 500.00 (ხუთასი ლარი და 00 თეთრი) ლარი და მხარეებს ერთმანეთის მიმართ პრეტენზია არ გააჩნიათ.

ეს მიღება-ჩაბარების აქტი შედგენილია ორ ეგზემპლიარად რომელთაგან ერთი გადაეცემა ჩამბარებელს.

შემსყიდველი:

ა(ა)იპ – გორის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობის კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრი; ს/კ 417883044

მის: ქ.გორი მშვიდობის გამზ. 12/ა

საბანკო რეკვ.: ს.ს. „ლიბერთი ბანკი“

ბანკის კოდი: LBRTG22

ა.ა. GE02LB0115171175191000

შემსყიდველი: გ. ბზიშვილი

მიმწოდებელი:

ს.ს.ი.პ გორის გ.ერისთავის სახელობის პროფ.სახელმწიფო დრამატული თეატრი; ს/კ 217881424

მის: ქ.გორი გორი ჭავჭავაძის ქ. N 24

საბანკო რეკვ.: ს.ს. „სახელმწიფო ხაზინა“

ა.ნ 708307019

მიმწოდებელი: ნ. კვირიკაშვილი